24
ოქტომბერი
ხუთშაბათი,
1963 წ.
№ 211 (2316)
გამოდის მე-20 წელი
ფასი 2 კაპ.

ესტაფეტა თბილისისაკენ მოემართება

„განთიადის" ესტაფეტა შრომასა და სპორტში, რომელიც ეძღვნება საბჭოთა პროფკავშირთა XIII ყრილობას, სოხუმიდან ჩამოვიდა ქუთაისში. ქალაქის აბრეშუმის კომბინატის საზეიმოდ მორთულ კლუბში თავი მოიყარეს ქალაქის ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლებმა. ადგილობრივი ორგანიზაციები მაღალი მაჩვენებლებით შეხვდნენ ამ ღონისძიებას. ქუთაისელმა მეაბრეშუმეებმა მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს არა მარტო შრომაში, არამედ სპორტშიც. კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა ჩაბმულია 18 სექციაში.

კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის ფიზკულტურელებმა. მათ უკვე წარმატებით გაანაღდეს სახელმწიფო გეგმა და განზრახული აქვთ წლის ბოლომდე 100 ტონით მეტი პროდუქცია მისცენ სახელმწიფოს. ისინი არც ფიზკულტურასა და სპორტში ჩამორჩნენ, უკვე გაანაღდეს თვითვალდებულებანი.

ესტაფეტას კარგი მაჩვენებლებით შეხვდნენ ავტოქარხნის, ელექტრომექანიკური ქარხნის, საკონსერვო ქარხნის, მაუდის ფაბრიკისა და სხვათა კოლექტივები.

ქუთაისის „განთიადის" ფიზკულტურული კოლექტივების მიერ მიმდინარე წელს მომზადდა 178 საზოგადოებრივი მსაჯი და 589 ინსტრუქტორი. სწორედ საზოგადოებრივი კადრების დახმარებით ქალაქს შეემატა 3 ოსტატი, 40 პირველი თანრიგისა და 1000-მდე სხვა თანრიგის სპორტსმენი.

მეაბრეშუმეთა კლუბში გამართულ მიტინგზე თავიანთი კოლექტივების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე ლაპარაკობდნენ ადგილობრივი ფიზკულტურული კოლექტივების წარმომადგენლები და შეკრებილთ პირობას აძლევდნენ, რომ ისინი შემდგომშიც, ძალების დაუზოგავად იბრძოლებენ მუშა-მოსამსახურეთა შორის ფიზკულტურისა და სპორტის, საწარმოო ტანვარჯიშის შემდგომი განვითარებისათვის.

გუშინ ესტაფეტამ შემოიარა ქუთაისის ყველა ფიზკულტურული კოლექტივი და დღეს გეზს აიღებს თბილისისაკენ. ქუთაისელებმა მათ მიერ ჩატარებული მუშაობის ამსახველი პატაკის ჩატანა გორის ფეიქრებთან, მიანდეს სპორტის ოსტატებს ა. ქარქაშაძესა და ნ. გიორგობიანს.

ბ. კოვალიოვი,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

ფრენბურთელთა ფორუმზე

ევროპის მეექვსე პირველობა ფრენბურთში უკვე დაიწყო, ცნობილია პირველი შედეგები. ფრენბურთელთა ფორუმში, რომელიც ამჟერად რუმინეთში მიმდინარეობს, ვაჟთა შორის უძლიერესის სახელისათვის იბრძვის 17 კოლექტივი, ხოლო ქალთა შორის 13 გუნდი.

ვაჟთა გუნდები დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად, ქალთა კოლექტივები კი 3 ქვეჯგუფად. საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები თამაშობს კლუჟის ქვეჯგუფში, სადაც ფინალში გასვლისათვის იბრძვიან აგრეთვე იუგოსლავიის, გდრ-სა და ავსტრიის კოლექტივები. პირველი მატჩი საბჭოთა ფრენბურთელებს ჰქონდათ ავსტრიელებთან, რომელიც მათ მშრალი ანგარიშით მოიგეს — 3:0.

ვაჟთა გუნდების დანარჩენი ქვეჯგუფების შემადგენლობა ასეთია: ბრაშოვში — ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, იტალია და ბელგია; ბუქარესტში — რუმინეთი, პოლონეთი, ჰოლანდია და ფინეთი; ტირგუ-მურეშში — ბულგარეთი, გფრ, საფრანგეთი, თურქეთი და დანია. ამ ქვეჯგუფში ბულგარეთმა დაამარცხა გფრ — 3:0, ხოლო საფრანგეთმა — თურქეთი — 3:2.

ქალთა გუნდები შემდეგნაირად განაწილდნენ: ბუქარესტში —სსრკ, ბულგარეთი, თურქეთი; კრაიოვაში — ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, ჰოლანდია, დანია; კონსტანცის ორ ქვეჯგუფში — პოლონეთი, იუგოსლავია, გფრ და რუმინეთი, გდრ, ავსტრია.

ახალ იპოდრომზე

როსტოვში გაიხსნა სპეციალური იპოდრომი მოტოციკლისტებისათვის. გახსნის საზეიმო ცერემონიალი დამთავრდა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებით, რომელშიც წარმატებას მიაღწია მოსკოველმა ბ. ზახაროვმა. პირველ დღეს მან 5 სერიიდან მოიგო 4, ხოლო მეორე დღეს ყველა ხუთი. ზახაროვმა დამაჯერებლად მოიპოვა საპატიო ჯილდო. უძლიერესთა ხუთეულში შევიდნენ მოსკოველები ი. ოლეწიოვი და ვ. კუზნეცოვი, უკრაინელი ვ. ტროფიმოვი და ესტონელი ჰ. ვიდასი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

თასი კვლავ მოსკოვშია

ნონა გაფრინდაშვილი,
მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი.

გულთბილად შეეგება იუგოსლავია მსოფლიოს გამოჩენილ მოჭადრაკე ქალებს. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ იუგოსლავიის საჭადრაკო კავშირი სანიმუშოდ აწყობს დიდ ტურნირებს, ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ II ოლიმპიადისათვის ადრიატიკის ზღვისპირა აგარაკი სპლიტი შეარჩიეს. აქვე მინდა შევნიშნო, რომ სპლიტი უძველესი ქალაქია. ეს ადვილად შეიმჩნევა, როგორც კი თვალს გადაავლებ მას. იგი თვით ჟამთა სვლას გაუყვია ძველ და ახალ სპლიტად. დაბალი შენობები, ქვით მოკირწყლული ვიწრო ქუჩები, მომცრო მოედნები. ასეთია ძველი სპლიტი. განიერი პროსპექტები, ცადაზჯენილი ახალი სტილის ნაგებობები, უამრავი მანქანები, კაფეები, რესტორნები წარმოადგენს თანამედროვე სპლიტს. ჩვენ ახალ სპლიტში დავბინავდით სასტუმრო „მარიანაში".

მოჭადრაკე ქალები მხიარულად შეხვდნენ ერთმანეთს. ვნახე ბევრი ძველი ნაცნობი, ზოგი ახლა გავიცანი.

როგორც ყოველთვის, ასეთი შეხვედრების დროს ახალი ამბებიც შევიტყეთ. ამერიკის საჭადრაკო ფედერაციამ ვერ უზრუნველყო თავისი მოჭადრაკეების გამომგზავრება ოლიმპიადაზე. ტურნირზე თავისი ხარჯით ჩამოვიდნენ გიზელა გრესერი და მარი ბეინი. ქვეყნის ჩემპიონმა ლიზა ლეინმა ვერ შეაგროვა სათანადო თანხა და დარჩა. ამბობენ, მან სასამართლოში უჩივლა ფედერაციას, მაგრამ წააგო პროცესი და ჯარიმის გადახდა მოუხდა.

*

ყველას გვესიამოვნა ფიდე-ს პრეზიდენტის ფ. როგარდის მოსალოცი დეპეშა.

როცა ლაპარაკში გაირკვა, რომ საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოსკოვიდან ჩამოვიტანეთ ვერა მენჩიკის სახელობის ბროლის თასი, რომლითაც აჯილდოვებენ ოლიმპიადაში გამარჯვებულ გუნდს, გვეხუმრებოდნენ: ტყუილად გარჯილხართ. თასი უკან წასაღები გაგიხდებათო. სასიამოვნო იყო ამის მოსმენა, მაგრამ კარგად ვიცოდით, რომ მასპინძლები ასე უბრალოდ, „უსისხლოდ" არ გაგვატანდნენ მას. ასეც მოხდა.

ოლიმპიადა გაიმართა იმავე სასტუმროს ვრცელ დარბაზში, რომელშიც ვცხოვრობდით. მასში დაახლოებით 300 კაცი ეტეოდა და, რა საკვირველია, მუდამ გაჭედილი იყო. მაყურებლები თამაშს თვალს ადევნებდნენ სადემონსტრაციო დაფის მიხედვით.

თავიდანვე ვიგრძენით, რომ ბრძოლა პირველი ადგილისათვის გაიმართება ჩვენსა და იუგოსლაველებს შორის. ამას სხვათაშორის არც გაზეთები მალავდნენ. ამაში არაფერი იყო მოულოდნელი, ვინაიდან მათ ორი ჭეშმარიტად ძლიერი მოჭადრაკე ჰყავთ—იუგოსლავიის ჩემპიონი მილუნკა ლაზარევიჩი და ვერიცა ნედელკოვიჩი.

თუ როგორ მიმდინარეობდა ბრძოლა ჩვენსა და იუგოსლაველებს შორის, საკმაოდ გაშუქდა პრესაში. მინდა აღვნიშნო მხოლოდ, რომ იუგოსლაველთა „სუნთქვა", რომლებიც ფეხდაფეხ მოგვდევდნენ, გვაიძულებდა უდიდესი დაძაბულობით გვეთამაშა. ყოველ მატჩში უნდა აგვეღო 2 ან სულ ცოტა 1,5 ქულა. ეს ძალიან ძნელი იყო. მით უმეტეს ჩემთვის, რადგან შავებით მომიწია თამაში თითქმის ყველა კონკურენტთან. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მატჩს ვიგებდით, ჩემპიონის ბედი მაინც უნდა გადაეწყვიტა პირად შეხვედრას იუგოსლაველებთან. ამიტომ ამ მატჩისათვის განსაკუთრებით ვემზადებოდით. შეხვედრის დღეც დადგა.

სპლიტელებმა და მრავალმა ტურისტმა დილითვე დაიტაცეს ბილეთები. გვითხრეს, რომ გაჭედილ დარბაზში ბელგრადიდან ჩამოსული გულშემატკივრებიც არიანო.

ჩემპიონობის მოპოვებისათვის ჩვენ გვყოფნიდა ყაიმი. თამაშზე გამოვცხადდით საბრძოლო განწყობაზე. მე შევხვდი ლაზარევიჩს. იუგოსლაველი ოსტატი აგრესიული სტილით თამაშობდა. ის თავიდანვე მიილტვოდა იერიშისაკენ. მე გადავწყვიტე მშვიდობიანად მეთამაშა, მაგრამ არა საყაიმო ტენდენციით. აი პარტიაც.

გაფრინდაშვილი-ლაზარევიჩი.

1. e4 e5 2. მf3 მc6 3. მc3 მf6 4. d4 კb4 (ეს მწვავე გაგრძელებაა. მაგრამ მე არ ვღალატობ არჩეულ მშვიდობიან გეზს). 5 d5 მe7 6. მ:e5 d6 7. მf3მ:e4 8. ლd4 (ვაიძულებ კუს დათმობას) 8... კ:c3+ 9. bc მf6 10. კb5+ კd7 11. კ:d7+ ლ:d7 12. 0—0.

თეთრებმა დაამთავრეს ფიგურების განვითარება. მათ სრულიად „ჯანმრთელი" პოზიცია აქვთ. ლაზარევიჩი ცდილობს თამაშის გართულებას.

12... მf:d5 13. c4 c5 (ერთადერთია. 13... მf6 14. კg5 ლf5 15. ეfe (უკეთესი თამაშით) 14. ლb2 (ზუსტი სვლაა. არ შეიძლებოდა 14. ლ:g7 ეg8 15. ლb2 ე:g2+ 16. მფ:g2 ლg4+ 17. მფh1 ლ:f3+ 18. მფg1 0—0—0 და 19. ეg8+ გამო). 14... მb6 15. ლ:g7 ეg8 16. ლf6 ეg6 17. ლh8+ ეg8 18. ლf6.

იძულებული ვარ ვითამაშო ასე. ლაზარევიჩს შეეძლო აქ ყაიმის გამოწვევა სვლების გამეორებით. მაგრამ მან გადახედა ნედელკოვიჩ-ზატულოვსკაიას პარტიას, სადაც თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა და გადაწყვიტა მოგებაზე თამაში.

18... 0—0—0 19. მg5! (ინიციატივის მტკიცე დაუფლებით) 19... მ:c4 20. ლ:f7 მe5 21. ლ:h7 (ლაზარევიჩმა აქ მახე დამიგო. 21. ლe6 მf3+! მოგებით) 21... ეh8 22. ლe4 ეdg8 23. f4 ეh4 24. ლe2 ეgh8 25. fe ე:h2 (ლაზარევიჩი ცდილობს თამაშის ამღვრევას, მაგრამ ამაოდ. პარტია უკვე წაგებული აქვს) 26. ეf8+ ე:f8 27. მფ:h2 d5 28. მh3 ლf5 29. კf4 მg6 30. ეf1 მ:e5 31. მფg1 მc4 32. ლe7 და ლაზარევიჩი დამნებდა.

ტატიანა ზატულოვსკაია ძალიან ღელავდა. ამიტომ ნედელკოვიჩმა შეძლო მცირე უპირატესობის მოპოვება, ხოლო შემდეგ უკეთესი ენდშპილის მიღება. ამ ენდშპილმა საერთო ინტერესი გამოიწვია. მას ბევრი იუგოსლაველი ოსტატი არჩევდა და როგორც იქნა მოიძებნა მოგების ეტიუდური გზა.

მატჩი დამთავრდა 1:1. ჩვენ შევინარჩუნეთ ქულობრივი უპირატესობა, რომელიც ადრე გვქონდა. ბოლო ტურს არ შეუტანია ცვლილებები. საბჭოთა მოჭადრაკეებმა დავიკავეთ პირველი ადგილი და როგორც ჩემპიონებს, გადმოგვცეს ოქროს მედლები. რასაკვირველია, ვერა მენჩიკის სახელობის გარდამავალი თასი კვლავ ჩვენ დაგვრჩა და იგი ისევ მოსკოვში ჩამოვიტანეთ. ჩვენს გამარჯვებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის მწვრთნელს, ოსტატ ა. კონსტანტინოპოლსკის, რომელიც სპლიტში გვახლდა.

საზეიმო დახურვაზე მონაწილეებს რამდენიმე სპეციალური პრიზი გადაეცათ. ნედელკოვიჩმა მიიღო პრიზი საუკეთესო შედეგისათვის მეორე დაფაზე (12 ქულა 12-დან), კირა ზვორიკინამ სათადარიგოთა შორის საუკეთესო შედეგისათვის (5,5 ქულა 6-დან) და სხვ. მე პრიზები მომცეს საუკეთესო შედეგისათვის პირველ დაფაზე (11,5 ქულა 12-დან) და კარგი სტრატეგიისათვის პარტიაში ამერიკელ გ. გრესერთან.

ოლიმპიადის შემდეგ ერთდროული თამაშების სეანსში შევხვდი ქალაქების — ნაშიცასა და ზემუნის მოჭადრაკეებს.

* * *

სურათზე: ნ. გაფრინდაშვილისა და მ. ლაზარევიჩის შეხვედრა.

წარმატება ბუქარესტში

ბუქარესტში გამართულ ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ს, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის დინამოელ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე საწყლოსნო სახეობებში დიდ წარმატებას მიაღწია ევროპის ჩემპიონმა, ლვოველმა გ. პროკოპენკომ, რომელმაც 100 მეტრზე ბრასით ცურვაში აჩვენა 1.09,2 და გააუმჯობესა კონტინენტის რეკორდი, მაგრამ ეს არ იყო მისი უკანასკნელი წარმატება ამ შეჯიბრებაზე. მან პირველი ადგილი მოიპოვა ამ სტილით 200 მეტრზე ცურვაშიც. მისი მაჩვენებელი 2.32,3 მიმდინარე სეზონში მეორეა მსოფლიოში.

თავი ისახელა გ. ანდროსოვმაც 400 მ კომპლექსურ ცურვაში. მან აღნიშნული მანძილი დაფარა 5.07,2-ში და ფინიშზე პირველი იყო. გამარჯვება მოიპოვა ე. ნოვიკოვმაც. იგი უძლიერესი იყო 1500 მ თავისუფალი სტილით ცურვაში — 18.59,2. ტრამპლინიდან წყალში ხტომაში ქალთა შორის 104,04 ქულის მოგროვებით ყველას აჯობა მოსკოველმა თ. ჯანევამ, ხოლო მოსკოვის „დინამოს" წყალბურთელებმა შეჯიბრება დაუმარცხებლად განვლეს და პირველი ადგილი დაიკავეს.

შეხვედრა გამრეკ მოჭადრაკეებთან

ამას წინათ გაგრაში სანატორიუმ „ჩელიუსკინელის" ვრცელ დარბაზში შავი ზღვისპირა აგარაკის მოჭადრაკეები შეხვდნენ მსოფლიოს ექსჩემპიონს მ. ბოტვინიკს.

შესავალი სიტყვის შემდეგ, რომელიც წარმოთქვა საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის პასუხისმგებელმა მდივანმა თ. გიორგაძემ, მ. ბოტვინიკმა გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 20 დაფაზე. გროსმაისტერმა გაიმარჯვა 17 პარტიაში, ხოლო სამი ყაიმით დაამთავრა. ყაიმს მიაღწიეს ექიმმა შ. ჩიგოგიძემ, ინჟინერმა ი. მანტკავამ და დამსვენებელმა, წყალტუბოელმა ოსტატობის კანდიდატმა ჯ. ბერაძემ.

სეანსის შემდეგ მ. ბოტვინიკმა უპასუხა შეკითხვებზე.

ვ. კანდელაკი.



ქალაქის ფიზკულტურის დისპანსერი ახალი აპარატის საშუალებით თვალყურს ადევნებს სპორტსმენთა ჯანმრთელობას. ამ სურათზე აღბეჭდილია მომენტი, როდესაც დისპანსერის თანამშრომელი მ. ხიზანიშვილი ბერნარის აპარატით მორიგ პროცედურას უტარებს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტს.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

◆

სპორტული მედიცინის მუშაკთა ძირითადი ამოცანები

★

რ. სვანიშვილი,
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის საექიმო ფიზკულტურის კათედრის დოცენტი, სსრ კავშირის სპორტული მედიცინის ფედერაციის საბჭოს წევრი.

★

სპორტულ მედიცინას საკმაო ღვაწლი მიუძღვის თანამედროვე სპორტის განვითარებაში. ამის ნათელსაყოფად შეიძლება მოვიყვანოთ მთელი რიგი ფაქტები სპარტაკიადებისა და ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების პერიოდში ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების (მოსკოვის, ლენინგრადის და სხვ.), ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში არსებული სამედიცინო ინსტიტუტების (მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის და სხვ.) და საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერების (მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკისა და სხვ.) მიერ ჩატარებული სამეცნიერო პრაქტიკული ხასიათის მუშაობიდან.

სპორტი წინ მიდის, ახალ მწვერვალებს იპყრობს, ამიტომ საჭიროა სპორტულმა მედიცინამ მეტი პრაქტიკული დახმარება გაუწიოს სპორტსმენებს და მწვრთნელებს ვარჯიშის პროცესის სწორად ორგანიზაციაში. მედიცინის ამ დარგმა თვალსაჩინოდ უნდა გააღრმაოს სპორტსმენთა ორგანიზმის გავარჯიშების, პათოლოგიისწინა და თვით პათოლოგიის მდგომარეობის სწორად და დროულად დადგენის მეთოდები. აღნიშნულთან ერთად უაღრესად დიდი ყურადღება უნდა მიეკუთვნოს ამა თუ იმ მიზეზით სპორტსმენთა შორის განვითარებული დაავადების, დაზიანების სწორად მკურნალობის საქმეს, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს წვრთნისათვის.

სპორტსმენთა სამედიცინო მეთვალყურეობის ძირითადი ფორმა დისპანსერიზაციაა. თუმცა არანაკლები მნიშვნელობა აქვს ე. წ. შეჯიბრებისწინა სამედიცინო შემოწმებას, საექიმო-პედაგოგიურ მეთვალყურეობას და სხვ. ახლა წელიწადში ერთხელ ან ორჯერ მასობრივად ხდება სპორტსმენთა ასეთი წესით შემოწმება, ხოლო ზოგჯერ, ისეთი საპასუხისმგებლო სპორტული ღონისძიებების წინ, როგორიცაა ოლიმპიური თამაშები, ოლიმპიური ნაკრები გუნდების წევრთა დისპანსერიზაცია წელიწადში სამჯერ მაინც უნდა ჩატარდეს.

ფუნქციური დიაგნოსტიკის განვითარებაში სპორტულმა მედიცინამ უდავოდ გარკვეული როლი ითამაშა. დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ სპორტულ მედიცინაში ფუნქციონალური დიაგნოსტიკის მეთოდების გამოყენება მეტად ფართო მასშტაბით სწარმოებს. მაგრამ აქვე ისიც საჭიროა აღინიშნოს, რომ კლინიკურ მედიცინაში ორგანიზმის სხვადასხვა ფიზიოლოგიურ სისტემათა ფუნქციონალური მდგომარეობის გამოკვლევისათვის მოწოდებული ხელსაწყოებით გატაცებამ რიგ შემთხვევებში ექიმები ერთგვარად ჩამოაცილა კლინიკას და მის ძირითად და მეტად სანდო მეთოდების მონაცემებზე დაყრდნობას.

სადავო არ არის ის ფაქტი, რომ ამა თუ იმ ფიზიოლოგიური სისტემის ფუნქციურ გამოკვლევას (განსაკუთრებით ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებით) უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის გავარჯიშების, შრომისუნარიანობის დადგენაში. მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ხშირად რომელიმე ფიზიოლოგიური სისტემის (მაგ.; გულსისხლძარღვთა) რეაქცია (მაჯისცემისა და არტერიული სისხლის წნევის ცვლილება და სხვ.) ფიზიკურ დატვირთვაზე რომელიმე ფუნქციური ცდის ჩატარების დროს ყოველთვის არ ემთხვევა სპორტსმენის გავარჯიშების მდგომარეობა მის სპორტულ-ტექნიკურ მიღწევას. ასევე არ შეიძლება ყოველთვის სწორად გამოვლინდეს და განისაზღვროს ორგანიზმში არსებული პათოლოგიური მდგომარეობა იგივე ფუნქციური ცდებით, რომლებიც ასე ფართოდ იხმარება საექიმო კონტროლის პრაქტიკაში. ყოველივე ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ექიმებმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ კლინიკური გამოკვლევის მეთოდის სრულად გამოყენებას.

სპორტსმენის სამედიცინო შესწავლის დროს ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ სპორტსმენის ორგანიზმში ესა თუ ის პათოლოგიური პროცესი შესაძლოა ისე არ წარიმართოს, როგორც ეს ჩვეულებრივ კლინიკაში გვხვდება. სადღეისოდ არსებობს აზრი იმის შესახებ, რომ სპორტსმენებში, შრომისუნარიანობის მქონე ამ ადამიანებში, დაავადება ზოგჯერ შეცვლილი ფორმით ვლინდება, რაც, პირველ რიგში, მისი მაღალი კომპენსატორული მექანიზმების მოქმედებით შეიძლება იქნას ახსნილი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს ისეთი აზრი, თითქოს სპორტსმენს მოკლევადიანი დასვენების შემდეგ შესაძლებელია დაუქვეითდეს ესა თუ ის მოძრაობითი ჩვევები (ტექნიკა) ან კიდევ ფიზიკური გამძლეობა. აქვე უნდა მოვიყვანოთ ყველასათვის ცნობილი ფაქტი, რომ ხშირად გარკვეული დროით (2–3 დღე და უფრო მეტი) დასვენების შემდეგ სპორტსმენი ბევრად უფრო შრომისუნარიანია და უკეთეს სპორტულ შედეგსაც იძლევა.

სპორტსმენთა დაავადება შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენს, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი მაინც გვხვდება. როგორც ცნობილია, სპორტსმენთა დაავადება ძირითადად მათი ნერვული და შინაგანი ორგანოების ფუნქციური დარღვევებითა და საყრდენ-სამოძრაო აპარატის ტრავმული დაზიანებით არის გამოწვეული. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ესა თუ ის პათოლოგიური პროცესი სპორტსმენში ერთი გარკვეული პერიოდით ფარულად წარიმართება მაშინ, როდესაც იგი განაგრძობს წვრთნას. სწორედ სპორტული მედიცინის დარგში მომუშავე ექიმის ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მან რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოავლინოს ეს მდგომარეობა და სწორად დაუნიშნოს ყველა საჭირო მკურნალობა. სპორტსმენთა მკურნალობის დროს ხშირად ვხვდებით ისეთ დანიშნულებას, როგორიცაა ვენაში წამლის შეყვანა (ძირითადად გლუკოზის), ნოვოკაინის ბლოკადა და სხვა, რაც ყველა შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად.

ცნობილია, რომ ყველა სამკურნალო საშუალებას აქვს თავისი ჩვენება და წინააღმდეგ ჩვენება. იმისათვის, რომ იგი მართებულად იქნეს გამოყენებული, საჭიროა ყველა იმ საკითხების ცოდნა, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ზემოაღნიშნულთან. ასე მაგალითად, სპორტსმენთა შორის არსებობს ისეთი აზრი, თითქოს გლუკოზას ვენაში შეყვანა საუკეთესო საშუალებაა გულის კუნთის (მიოკარდიუმის) გასამაგრებლად. საჭიროა გვახსოვდეს, რომ ნორმაზე მეტი რაოდენობით მიღებული გლუკოზა არასდროს არ დაგროვდება მარაგის სახით და იგი ყოველთვის გამოიყოფა ორგანიზმიდან. ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზედმეტი რაოდენობით მიღებული გლუკოზა ამცირებს სისხლში კალიუმის მარილის რაოდენობას, რომელზედაც ბევრადაა დამოკიდებული როგორც თვით გულის მუშაობა, ისე ჩონჩხის კუნთების შეკუმშვის ძალა და მთელი რიგი სხვა ფიზიოლოგიური პროცესები.

ნახშირწყლებისა და ვიტამინების გამოყენებას სპორტსმენთა კვებისა და მკურნალობის საქმეში ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ იგი უნდა წარმოებდეს მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით. სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს სამკურნალო პრეპარატებით მკურნალობას. ფართოდ იქნეს გამოყენებული როგორც ნერვულ სისტემაზე მოქმედი, ისე საგულე, ტკივილდამაყუჩებელი სხვა პრეპარატები, რომლებიც ხსნარების, წვეთების, ფხვნილებისა და ა. შ. სახით (დალევის გზით) მიიღებიან.

მოკლედ უნდა შევეხოთ აგრეთვე სპორტსმენთა ტრავმულ დაზიანებათა მკურნალობას. აქ ყურადღება უნდა გამახვილდეს მიკროტრავმების მკურნალობაზე. ვულახდილად უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ შემთხვევაში მიკროტრავმები ბოლომდე არ იკურნება. ასეთ შემთხვევაში მიკროტრავმა იზრდება და სპორტსმენი გამოდის მწყობრიდან. ჯანდაცვის სისტემის ორგანიზაციამ და სპორტული მედიცინის ფედერაციამ დღემდე ვერ შეძლეს სრულყოფილი ინსტრუქციული წერილის გამოშვება სპორტულ ტრავმატიზმზე, რაც დიდ დახმარებას გაუწევდა სპორტსმენთა ტრავმის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საქმეს.

კიდევ უფრო უნდა გაუმჯობესდეს სპორტსმენთა შორის სან-განმანათლებელი მუშაობა, სპორტული მედიცინის მუშაკები უნდა დაეხმარონ ჩვენს სპორტსმენებს ძირითადი ჰიგიენური საკითხების (წვრთნისა და დასვენების რეჟიმის) სწორად გაგებაში. სპორტსმენებთან საექიმო კონსულტაციების ჩატარების დროს საჭიროა მათ განემარტოთ, რომ მათი ჯანმრთელობისათვის, გარდა რაციონალური კვებისა და დასვენებისა, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ დროს სუფთა ჰაერზე, ბუნების წიაღში გასეირნებას. სპორტსმენებთან საუბრისა და კონსულტაციების დროს ექიმი მწვრთნელთან ერთად უნდა აწარმოებდეს აგრეთვე სპორტსმენის ფსიქოლოგიურ მომზადებას, რასაც რიგ შემთხვევებში შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მისი საწვრთნელი მეცადინეობის სწორად წარმართვის საქმისათვის.

სპორტსმენთა წვრთნა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანაა, რომლის განხორციელებაში სპორტული მედიცინის დარგის მუშაკებს ერთ-ერთი თვალსაჩინო როლი უნდა მიეკუთვნოს.

ამ ორ სურათზე აღბეჭდილი არიან რუსთაველი ნორჩი სპორტსმენები. ზედა სურათზე თქვენ ხედავთ რუსთავის მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლეებს ჯართის შეგროვების დროს; ჯართში აღებული ფულით ნორჩი სპორტსმენები სპორტული ინვენტარის შეძენასა და სპორტული მოედნების კეთილმოწყობას აპირებენ. ქვემო სურათზე კი მე-6 სკოლელი მაგიდის ჩოგბურთელებია აღბეჭდილი. ფიზაღზრდის მასწავლებელი ნ. კასაძე მათ ჩოგნით ბურთის მიწოდების ერთ-ერთ ხერხს ასწავლის.

ფოტო ნ. კალანდაძისა.

კორესპონდენტები გვატყობინებენ

თბილისი

თბილისის განათლების განყოფილებამ ამ დღეებში სპორტსაზოგადოება „განთიადის" ფრენბურთის მოედნებზე ჩაატარა შეჯიბრება ფრენბურთში საშუალო სკოლების უმცროს და საშუალო ასაკის ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 85 ვაჟთა და 42 გოგონათა გუნდი.

I ადგილი საშუალო ასაკში ჭაბუკთა შორის დაიკავა 101-ე სკოლის ფრენბურთელთა გუნდმა, II ადგილი — 76-ე სკოლამ, III ადგილი — 91-ე სკოლამ.

I ადგილი უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის დაიკავა 93-ე სკოლის ფრენბურთელთა გუნდმა. II ადგილი წილად ხვდა 82-ე სკოლის კოლექტივს, ხოლო III ადგილი 91-ე სკოლის ფრენბურთელებს.

I ადგილი საშუალო ასაკის გოგონათა შორის დაიკავა 96-ე სკოლის ფრენბურთელთა გუნდმა, II ადგილი — 86-ე სკოლის სპორტსმენებმა, III ადგილი კი მე-2 სკოლის ფრენბურთელებმა.

I ადგილი უმცროსი ასაკის გოგონათა შორის დაიკავა 78-ე სკოლის ფრენბურთელთა გუნდმა, II ადგილი — 82-ე სკოლის, ხოლო III ადგილი მე-2 სკოლის სპორტსმენებმა.

ვ. შეყლაშვილი,
თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლის უფროსი მწვრთნელი.

მინდორი დაეთმო ბავშვებს

ფოთის „კოლხიდის“ წარმატებამ „ბ“ კლასის საკავშირო შეჯიბრებაში დიდი გამოცოცხლება გამოიწვია ქალაქის სპორტულ საზოგადოებრიობაში. განსაკუთრებული ენთუზიაზმი დაეტყო ბავშვთა შორის მუშაობას, მნიშვნელოვნად გაიზარდა ე. წ. „ველური“ გუნდების რაოდენობა. ბავშვები ადგენენ გუნდებს, არქმევენ სახელებს და ეთამაშებიან ერთმანეთს.

„კოლხიდის“ ხელმძღვანელობას მხედველობიდან არ გამორჩენია ბავშვთა ეს ინიციატივა. გუნდებს მწვრთნელებად დაუნიშნეს ვეტერანი ფეხბურთელები და შეჯიბრებამ გადაინაცვლა „ვოდნიკის“ სტადიონზე.

საქალაქო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 12-მა გუნდმა. თავი ისახელა „რაკეტამ“ (ახალსოფლის უბნის გუნდი), რომელმაც 8 შეხვედრა მოიგო და 3 ფრედ დაამთავრა. მეორე ადგილზეა „ისარი“ (ნაბადას უბანი), ხოლო მესამეზე — „ოლიმპია“ (ცენტრის უბანი). გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ გარდამავალი პრიზები, სპორტული ფორმა და ბურთები. მწვრთნელებმა შეარჩიეს პერსპექტული, ნიჭიერი მოთამაშეები და შექმნეს 4 გუნდი, რომლებიც შეუდგებიან რეგულარულ მეცადინეობას. დიდი მუშაობა გასწიეს ბავშვთა შორის მწვრთნელებმა ხ. შელეგიამ, ლ. ეფრემიძემ, ა. კომახიანმა, ფ. გვასალიამ, ბ. გოგინავამ და სხვებმა.

ა. ლომაია

• • •

სურათზე: ნორჩ ფეხბურთელთა თამაშის მომენტი „ვოდნიკის“ სტადიონზე.

ფოტო რ. ღვამიჩავასი.

რევანში არ შედგა

მატჩისადმი ინტერესი განსაკუთრებით იმით იყო დიდი, რომ ქუთაისელებმა მოსკოვში მიმდინარე სეზონში პირველი დამარცხება მიაყენეს რკინიგზელებს. ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ მოსკოველები ეცდებოდნენ რევანშის აღებას მასპინძელთა მოედანზე. მოლოდინი არ გამართლდა. ქუთაისელებმა მეტოქეთა თავდამსხმელები პერსონალურად აიყვანეს და კარისაკენ მისადგომები საიმედოდ ჩაკეტეს. განსაკუთრებით ქების ღირსნი არიან ოდიკაძე და სარჯველაძე. პირველმა მთლიანად გამოთიშა ლატიშევი, ხოლო მეორემ კარგად ეთამაშა ბუბუკინს. ამიტომ იყო, რომ 20 წუთის განმავლობაში სტუმრებმა ვერცერთხელ სახიფათოდ ვერ შეუტიეს კარს. 21-ე წუთზე ქუთაისელთა მცველი ლოსაბერიძე ღრმა რეიდით მეტოქეთა კარისაკენ გაიჭრა, მაგრამ სწორედ პირით ხაზთან მას ფეხი დაუცდა და ბურთი დაჰკარგა. ამით ისარგებლეს მოსკოველებმა და ბურთი თავისუფლად მდგომ კოვალიოვს გადააწოდეს. იგი სწრაფად მიუახლოვდა კარს და ძლიერად დაარტყა. მეკარე ურუშაძემ უკუაგდო ბურთი, რომელსაც მიუსწრო სიაგინმა და ანგარიშიც გაიხსნა.

მეორე ნახევარში ქუთაისელთა იერიშები კვლავ გრძელდებოდა და ანგარიშის გათანაბრების რეალური შესაძლებლობა მხოლოდ 68-ე წუთზე შეიქმნა, მაგრამ ჩხარტიშვილმა იგი ვერ გამოიყენა. 18 წუთის შემდეგ მან გამოასწორა თავისი შეცდომა და უძლიერესი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

ლ. ფაჩუაშვილი

ახალგაზრდა ფეხბურთელთა თასი

უკანასკნელ წლებში ძალზე წინ წავიდა ახალგაზრდული ფეხბურთი. ახლა უკვე შექმნილია საკმაოდ დიდი რაოდენობის სპეციალიზირებული საფეხბურთო სკოლები, სადაც სწავლობს 10 ათასზე მეტი ბავშვი. ყოველ წელს ათასობით ფეხბურთელი-მოსწავლე აბარებს გამოცდებს „საფეხბურთო სიმწიფის“ ატესტატზე და გადადის მოზრდილთა კატეგორიაში, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ მათი „საფეხბურთო განათლება“ ამ ეტაპით როდი მთავრდება. ტყავის ბურთის ოსტატი რომ გახდე, საჭიროა გქონდეს ტექნიკის ფართო არსენალი, იცნობდე თანამედროვე ფეხბურთის ტაქტიკას, გქონდეს მრავალმხრივი ფიზიკური მომზადება და სხვა. მოკლედ რომ ვთქვათ, საჭიროა გაიარო კურსი „საფეხბურთო უნივერსიტეტში“, ე. ი. უნდა მოხვდე ოსტატთა გუნდში, მაგრამ ამის საშუალება ყველას როდი ეძლევა. სწორედ ამიტომ მთელ რიგ ფეხბურთელებს, ახალგაზრდა ტალანტებს საშუალება არ ჰქონდათ აემაღლებინათ თავისი შემდგომი ოსტატობა. „იმედის თასის“ გათამაშების შემოღებამ კი გზა გაუხსნა ამ ახალგაზრდა ფეხბურთელებს ოსტატობის გამოვლინებისაკენ.

და მართლაც, თასისათვის ბრძოლის დღეებში არაერთმა ახალგაზრდა ფეხბურთელმა გამოავლინა თავისი ნიჭი და ოსტატობა, რის შედეგადაც ისინი ამ გათამაშების შუა ეტაპზე მიღებულ იქნენ ოსტატთა კოლექტივებში.

„იმედის თასის“ გათამაშება, როგორც ცნობილია, დაიწყო მიმდინარე წლის მაისში (ოთხ ტერიტორიალურ ზონაში). შეჯიბრებაში მონაწილეობდა 15 მოკავშირე რესპუბლიკის, მოსკოვისა და ლენინგრადის კოლექტივები. გათამაშების წინ ჩატარებულ იქნა წინასწარი მატჩები ყაზახეთისა და უზბეკეთის ფეხბურთელებს შორის. ორ მატჩში დამარცხდა ყაზახეთის გუნდი და გამოეთიშა გათამაშებას. ტერიტორიულ ზონებში გამარჯვებულები გამოვლინდნენ მხოლოდ ბოლო თამაშებში. გამარჯვებულთაგან ერთადერთი გუნდი იყო საქართველოს გუნდი, რომელმაც შედარებით იოლად მოიპოვა ფინალში მონაწილეობის უფლება. ქართველმა ფეხბურთელებმა ზონაში მოიგეს ხუთი მატჩი და მხოლოდ ერთი დაამთავრეს ფრედ.

რა შეიძლება ითქვას ზონებში გამარჯვებულ გუნდებზე?

მოლდავეთის ნაკრები (მწვრთნელი ვ. ზოლოტარიოვი) ყველაზე შედეგიანი გუნდია. მოლდაველებმა 6 თამაშში გაიტანეს 16 ბურთი, ხოლო თავის კარში მიიღეს მხოლოდ 2. მოლდაველთა აქტივშია გამარჯვება ისეთ ძლიერ მეტოქესთან, როგორიცაა ლენინგრადის გუნდი.

უზბეკეთის ნაკრები (მწვრთნელი ე. ვაპიცკი) შედგენილია საფეხბურთო სკოლების აღზრდილებისაგან. მოთამაშეები კარგად არიან მომზადებული ტექნიკურად, აქვთ კარგი დარტყმა კარში. უზბეკებმა ზონაში ჩატარებულ მატჩებში 15 ბურთი გაიტანეს.

ლიტვის ნაკრებმა (მწვრთნელი ი. ლაბუტისი) უთუოდ დიდ წარმატებას მიაღწია „იმედის თასის“ გათამაშებაში, თუმცა ფინალში გასვლამდე მას დიდი ბრძოლა გადახდა მოსკოვისა და ბელორუსიის გამოცდილ კოლექტივებთან. ლიტველთა გუნდი ძირითადად შედგენილია სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენლებისაგან.

საფინალო გათამაშების მასპინძლებმა — **საქართველოს ფეხბურთელებმა** (მწვრთნელი ვ. ელოშვილი) წინასწარი ტურნირი წარმატებით ჩაატარეს. მათ ვერ გაუწიეს თანაბარი მეტოქეობა რსფსრ-ს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ფეხბურთელებმა. ჩვენის აზრით, ელოშვილს არ უნდა აფიქრებდეს ის ამბავი, რომ იგი ფინალთან 5 წამყვანი მოთამაშის გარეშე მივიდა (მოთამაშეები გადაყვანილ იქნენ ოსტატთა გუნდებში). საქართველოს ნაკრები, ამ დანაკლისის მიუხედავად, კვლავ ძლიერ კოლექტივს წარმოადგენს.

ფინალი, რომელიც თბილისში 24-დან 29 ოქტომბრამდე ტარდება, შედგება 4 ძირითადი მატჩისაგან. 24 ოქტომბერს წილისყრის თანახმად ხვდებიან უზბეკეთისა და საქართველოს კოლექტივები, 25 ოქტომბერს—მოლდავეთისა და ლიტვის ფეხბურთელები. ამ შეხვედრებში გამარჯვებული გუნდები 29 ოქტომბერს ერთმანეთს შეხვდებიან I-II ადგილების გამოსარკვევად, 28 ოქტომბერს კი ერთმანეთს შეხვდებიან მესამე-მეოთხე ადგილებისათვის მებრძოლი გუნდები. იმ შემთხვევაში, თუ მატჩები დამთავრდება ფრედ, გუნდებს მიეცემათ დამატებითი დრო—30 წუთი. თუ კი დამატებით დროშიც აღინიშნება ფრე, მატჩი ჩატარდება მეორე დღეს. და თუ ამ შემთხვევაშიც არ გამოვლინდება გამარჯვებული, მაშინ ყველაფერს გადაწყვეტს წილისყრა.

მ. როზინი,

საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მთავარი მწვრთნელი.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 ოქტომბრისათვის

	თ.	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინამო“ (მოსკოვი)	31	18	10	3	42—12	46
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	31	19	4	8	53—25	42
„დინამო“ (თბილისი)	32	15	12	5	49—33	42
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	35	13	16	6	44—31	42
„დინამო“ (მინსკი)	33	15	11	7	40—26	41
„დინამო“ (კიევი)	32	15	10	7	64—42	40
ს კ ა (როსტოვი)	33	16	7	10	60—35	39
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	33	16	7	10	42—38	39
ც ს კ ა	32	11	16	5	26—19	38
„ტორპედო“ (მოსკოვი)	31	10	13	8	37—31	33
„შახტიორი“ (დონეცკი)	33	9	12	12	23—29	30
„ტორპედო“ (ქუთაისი)	32	6	17	9	21—32	29
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	32	5	17	10	34—42	27
„დინამო“ (ლენინგრადი)	35	6	14	15	33—46	26
„კაირატი“ (ალმა-ატა)	32	8	9	15	23—45	25
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	33	9	6	18	37—47	24
„არარატი“ (ერევანი)	32	8	8	16	31—45	24
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	35	6	12	17	24—52	24
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	32	5	14	13	19—37	24
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	33	3	11	19	31—66	17

• • •

„დინამო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი) — 1:1.

ც ს კ ა-„ნეფტიანიკი“ (ბაქო)—1:2.

ს კ ა (როსტოვი)-„დინამო“ (მინსკი) — 3:1.

„კაირატი“ (ალმა-ატა)-„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — 2:1.

„მოლდოვა“ (კიშინიოვი)-„არარატი“ (ერევანი) — 2:0.

„ზენიტი“ (ლენინგრადი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 1:1.

ინგლისელთა გამარჯვება

გუშინ ლონდონის „უემბლეის“ სტადიონზე შედგა „საუკუნის მატჩი“ ინგლისის ეროვნულ და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი, რომელიც დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა, დამთავრდა ინგლისელთა გამარჯვებით — 2:1. ინგლისელთაგან ბურთები გაიტანეს პეინმა და გრივსმა. ე. წ. სამყაროს ნაკრების წევრთაგან ბურთი გაიტანა შოტლანდიელმა ლოუმ.

გარემარბების ორი გოლი

ხარკოვი. (ტელეფონით). ხარკოვის „ავანგარდთან“ მატჩზე თბილისელები თავისი საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ: კოტრიკაძე, სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მეტრეველი, მელაშვილი, ბარქაია, დათუნაშვილი, მესხი. პირველ ტაიმში ორივე გუნდის ფეხბურთელთა მეცადინეობა, გაეხსნათ ანგარიში, ამაო გამოდგა. ეს ძირითადში უნდა მიეწეროს იმას, რომ მეტოქეთა დაცვის მოთამაშეები შეუცდომლად მოქმედებდნენ მოედანზე, ხოლო თავდამსხმელთა მიერ კარში დარტყმული ბურთები მიზანს ვერ აღწევდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში მსაჯმა მოედანი დაატოვებინა ბარქაიას. თბილისელები ათნი დარჩნენ მოედანზე, მაგრამ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ.

უკვე მეექვსე წუთზე მესხმა ლამაზი დარტყმით აიღო ავანგარდელთა კარი. თბილისელთა უპირატესობა ამის შემდეგ კიდევ უფრო გამოიკვეთა. ხარკოველთა ცდას გაექვითათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, ზუსტად 10 წუთის შემდეგ, ამჯერად სტუმართა უკვე მარჯვენა გარემარბმა — მეტრეველმა გაზარდა ანგარიში 2:0-მდე. გავიდა ორი წუთი და ხარკოველებმა მოახერხეს ერთი საპასუხო გოლის გატანა. ეს იყო და ეს. დარჩენილ დროში მასპინძლები ბევრს ეცადნენ შეეცვალათ მდგომარეობა, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. აღსანიშნავია ის, რომ თბილისელთა დაცვამ „აუღებელი კედელი“ აღმართა ხარკოველების წინაშე და მათ სხვა არა დარჩათ რა იმის მეტი, რომ დამარცხებას შერიგებოდნენ. საბოლოოდ მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ. სტუმრებმა ჩემპიონატის ფინიშზე საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს.

გ. კოპიტკო

სურათზე: მომენტი მატჩიდან სსრ კავშირის პირველობაზე ბათუმის „დინამოსა“ და ვიტებსკის „დვინას“ შორის. ამ მატჩის მოგებით ბათუმელმა ფეხბურთელებმა გაინაღდეს პირველი ადგილი ზონაში.

ფოტო ა. ჩანტლაძისა.

ფეხბურთის მიმოხილვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იაპონელებს იმედი განუმტკიცდათ

„ოლიმპიადაზე შეხვედრამდე!“— ამ სიტყვებით ეთხოვებოდნენ ტოკიოს იმ 35 ქვეყნის დელეგაციები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს აქ გამართულ სპორტის საერთაშორისო კვირეულში. წინასაოლიმპიადო რეპეტიცია დამთავრდა. მისი შედეგებით კმაყოფილია ყველა — შეჯიბრების ორგანიზატორები, სპორტსმენები, მაყურებლები.

მომავალი ოლიმპიადის მასპინძლები ცდილობდნენ კვირეულის მონაწილეთა აზრის გაგებას, რათა იგი გაეთვალისწინებინათ შემდგომისათვის. მათ ყველა ქვეყნის წარმომადგენლებთან მოაწყეს გასაუბრება, თუ როგორ უფრო უკეთესი იქნებოდა მუშაობის მოწყობა ოლიმპიურ თამაშებზე.

რა შედეგებით დაამთავრეს საბჭოთა სპორტსმენებმა კვირეული? საბჭოთა ქვეყნის 63 სპორტსმენმა, რომლებიც პროგრამის 20 სახეობიდან 9-ში მონაწილეობდნენ, 42 სამახსოვრო მედალი მოიპოვეს, მათ შორის 17 ოქროსი.

სპორტის კვირეულის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ ბაზისა და შეჯიბრებათა ორგანიზაციის შესახებ. „ყველაფერი შესანიშნავი იყო“ — თქვა იაპონიიდან გაფრენის წინ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დ. პეინმა: „თუნდაც ის ფაქტი, რომ შეჯიბრების დღეებში არ შემოსულა არც ერთი პროტესტი, ნათლად მეტყველებს ბაზების ხარისხსა და შეჯიბრების კარგ ორგანიზაციაზე“, მაგრამ მანვე დასძინა, რომ სასურველია სიმაღლეზე და ჰოკით სახტომ ორმოებში პლასტიკის ბურბუშელა შეიცვალოს სილით, ამასთან შეჯიბრების განრიგი ისე იყოს შედგენილი, რომ რამდენიმე სახეობაში მონაწილე სპორტსმენებს არ უხდებოდეთ ზედმეტი ნერვიულობა. მის ამ აზრს მხარი დაუჭირეს სიგრძეზე ხტომაში ქალთა შორის გამარჯვებულმა მ. რენდმა, თ. პრესმა და სხვებმა.

გაზეთ „ჯაპან ტაიმსში“ გამოქვეყნებულ წერილში ტოკიოს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე დ. იასუკავა რწმენას გამოთქვამს, რომ ოლიმპიადაზე ადგილი აღარ ექნება იმ ხარვეზებს, რამაც თავი იჩინა საერთაშორისო კვირეულზე. კერძოდ, მოხდება მძლეოსნური სექტორების ერთგვარი რეკონსტრუქცია, შემცირდება დახურული აუზის ტენიანობა და სხვა.

იაპონიის პრესა განსაკუთრებით ბევრ კომენტარს უკეთებს იაპონელი ფრენბურთელების გამარჯვებას საბჭოთა სპორტსმენებზე. „ორი-სამი წლის წინ იაპონიაში ლაპარაკობდნენ, რომ რუსების დასაწევად საჭირო იყო 30 წელი მაინც, — წერს გაზეთი „მაინიტი“, — ახლა კი ჩვენი ვაჟები, — განაგრძობს წერილის ავტორი იაპონიის გუნდის მწვრთნელი მ. საკაგამი, — აღარაფრით ჩამორჩებიან რუსებს, თუმცა ოლიმპიადაზე გამარჯვებისათვის ჯერ კიდევ ბევრი მუშაობის ჩატარება გვმართებს“.

უფრო დარწმუნებულია იაპონიის ქალთა გუნდის მწვრთნელი ხ. დაიმაცუ. „ჩვენი მიზანია ოლიმპიადაზე გამარჯვება და ჩვენ მივაღწევთ მას. დღეს ვბრუნდებით ოსაკაში. მართალია, დამთავრდა სპორტის კვირეული, მაგრამ ჩვენი საქმიანობა არ დამთავრებულა. განვაგრძობთ წვრთნას მომავალი წლის დიდი შეჯიბრებისათვის“.

მომავალს იმედის თვალით უყურებენ იაპონელი მძლეოსნებიც. ამ ქვეყნის მძლეოსანთა ასოციაციის თავმჯდომარის მ. ისის წერილში, რომელიც გაზეთმა „იომიური“ გამოაქვეყნა ვკითხულობთ: „ამ შეჯიბრებამ რწმენა მოგვცა, რომ ჩვენს მძლეოსნებს შეუძლიათ წარმატებით გამოდიოდნენ ოლიმპიადებზე. სპორტის საერთაშორისო კვირეულმა გაამართლა ჩვენი ვარაუდი, რომ ოლიმპიურ თამაშებზე იაპონიის მძლეოსნებს შეეძლებათ მოიპოვონ 15-16 ოქროს მედალი. მე არ ვიცი რომელ სახეობებში დავისაკუთრებთ მათ, მაგრამ ეს საშუალებას მოგვცემს საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის შემდეგ მესამე ადგილი მოვიპოვოთ“.

• • •

ამას წინათ ტოკიოში დამთავრებულ „მცირე ოლიმპიადაში“ ტანმოვარჯიშე ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ ლ. ლატინინამ.

სურათზე: ლ. ლატინინა ვარჯიშის დროს.

უშბის გმირი

ე. სიმონოვი

★

— რაში მჭირდება. აქ მხოლოდ ორი ტერფი თუ დამეტევა. სამაგიეროდ ძალას შევინარჩუნებ.

სვანმა ულვაშებზე გადაისვა ხელი. ალიოშამ დას შეხედა, რომელიც თბილ წინდებს იცვამდა. პალო კლდეში ჩაარჭო. არ ვარგა. გამოაძრო, ისევ ჩაარჭო ახალ ადგილზე. პალო საიმედოდ ჩაესო ქვაში. პალოებზე თოკია გამობმული, მისი მეორე ბოლო კი ალექსანდრას წელზე, ქალს ნაბადი აქვს შემოხვეული და მოახლოვებულ ბინდში დევს ჩამოჰგავს. ალექსანდრა გამამხნევებელი სიცილით აცილებს ალიოშას და გიოს, რომლებიც ფრთხილად ეშვებიან იაგორასთან.

• • •

მაშინვე ვერ დაიძინა. ქალი, მიჯაჭვული უშბაზე, თოკზე დაკიდებული, როგორც გაჩერებულ საქანელაზე. თვითონვე მოისურვა ასე. ღამე კი ქვევიდან ამოდის და მთებს ეხვევა. ალექსანდრა იდგა და ყურს უგდებდა, როგორ იძინებდნენ მთები. უკანასკნელმა ლოდებმა ჩაიქროლეს და ყინულმა შეაცემენტა მათი ნამსხვრევები. ჰაერში უჩინარ ფრინველთა ფრთებმა გაიტყლაშუნეს. არწივებო, თქვენი ბუდე ხომ არ წაგართვით? მაპატიეთ, ხვალვე გაგინთავისუფლებთ თქვენს საცხოვრებელს.

მთების, ღამის დუმილში ალექსანდრამდე მიაღწია ქვევიდან ხმებმა და დაინახა თვალისმომჭრელი ელვა. მეორე ბანაკი უპასუხებს საიერიშო ბანაკს. საუბარი ცეცხლით, ისეთივე ცეცხლით, რომლის გამოც ღმერთებმა უშბას მიაჯაჭვეს პრომეთე.

გაეღიმა. რაზე?... ყველაფერზე... იმაზეც, რომ ის არავის არ მიუჯაჭვავს უშბაზე პრომეთესავით, გააგებინა ძმას, რომ სვანიც და მოხევეც ისეთები არიან, რომ ქალს მარტოდ არ დატოვებენ მთაში. დაბრუნდებიან და რახან დაბრუნდებიან და პირველ ნაბიჯს ზევით ალექსანდრა გააკეთებს, გააკეთებენ ისინიც — უბრალო და საიმედო მამაკაცები. ალექსანდრას ისევ გაეღიმა: სწორედ იმით ხარ კარგი სიცოცხლევ, რომ არა ხარ უბრალო რამ და კიდევ იმიტომ, რომ უშბავ, შენს კედელზე ვარ მოჯაჭვული, მაგრამ შენი ტყვე კი არა ვარ, არამედ შენი ბატონ-პატრონი და გავიმარჯვებ შენზე, მე ქართველი ქალი და არა ის უცხოელი ქალბატონი, რომელსაც თათარხანმა შენი თავი აჩუქა.

ღამე კი ჩუმად მიიპარებოდა და ქალმა ვერ შეამჩნია, როგორ გადაიქცნენ ფიქრები სიზმრად. და როცა მთვარემ გაიარა თავისი გზა დონღუზიდან ყაზბეგამდე, ალექსანდრას კიდევ ესიზმრებოდა სოფელი და სახლებიდან ამომავალი კვამლი. ალექსანდრა ქუთაისში ჩადის და სწორედ იმ სკოლაშია, რომელშიც თვითონ სწავლობდა. „იცნობდეთ ბავშვებო! თქვენი ახალი მასწავლებელი ალექსანდრა ჯაფარიძე“.

წამით თვალი გაახილა. გაოცებულმა დაახამხამა წამწამები: პირდაპირ, ჯიქურ უყურებდნენ იგივე თვალები, ბავშვის ცნობისმოყვარე თვალები, ახლახანს რომ ნახა სიზმარში. მაგრამ ეს უშბის ღამის ვარსკვლავები იყო. ძალიან ბევრი, ძალიან ახლოს. ბევრად ახლოს. ვიდრე ხედავ ბარში ყოფნისას.

ასევე ჩაეძინა ალექსანდრას, ჩაეძინა ღრმა ძილით, უსიზმროდ.

• • •

გუშინ დამაგრებული თოკით ისინი პირველ ბუხრამდე ავიდნენ. ალიოშამ ისევ შეუდგა მხარი. გიომ კედლიდან თოკი ჩამოუშვა. ახლა უკვე შეიძლება მიიხედ-მოიხედო. ირგვლივ კლდეები, კლდეები, კლდეები. ოთხი ადამიანი და უამრავი ლოდები. ყველა არსებული გეომეტრიული ფიგურებიდან ბუნებამ აქ მხოლოდ ვერტიკალური არჩია: ან ზევით, ან ქვევით. არავითარი ჰორიზონტული სიბრტყეები, არც თაროები, არც ლავგარდნები.

ალიოშა საათს დასცქერის. უკვე მთელი საათი არიან ერთ ადგილზე.

იაგორა: — უნდა ვიფიქროთ, ბიჭებო. სხვა გზა მოვნახოთ. თუ საჭირო იქნება, ქვევითაც დავეშვათ.

ალიოშა: —ძალიან ციცაბოა, მოხუცო.

ალექსანდრა: — მე დაშვების წინააღმდეგი ვარ, აქვე უნდა მოვძებნოთ გზა.

გიო: — შეუძლებელია, რომ სვანი ვერ ავიდეს სვანეთის მწვერვალზე. ამ სიტყვებს ბრაზით ამბობს, მერე სვანურად ილანძღება, ფეხსაცმელს იხდის და ზევით მიძვრება.

ცოტა ხნის შემდეგ ზედა კუთხიდან მისი თავი მოჩანს.

— იჭერს, შიშველი ფეხი არ სხლტება. — ყვირის იგი.

გზას განაგრძობს.

სხვებიც ადიან.

გათავდა! გათავდა შენი ველური თავისუფლება, უშბავ! ადამიანი მოვიდა და პატარა ფინიასავით შეგაბა თოკი. უშბა იჭმუხნება, ნისლში ეხვევა, თოვლს აყრის კადნიერ ადამიანებს, ლოდებსაც ესვრის, მაგრამ ადამიანი მაინც ადის. ავიდა კიდეც!

ალიოშა პირველი ავიდა მწვერვალზე. მერე დანარჩენებიც. „პრემიაა საჭირო“, — თქვა ალიოშამ და შემონახული კიტრი და ვაშლი ყველას გაუყო. ალექსანდრამ გაიფიქრა: „კარგია იმის შეგრძნება, რომ უშბა შენს ფეხქვეშაა“. გაივლის დრო და ალექსანდრას შავი თმა ისევე გაუთეთრდება, როგორც ის მწვერვალები, რომლებზეც იგი უშბის შემდეგ ავა და უკვე ომის შემდეგ ჯარისკაცები საინტერესო ამბავს მოუტანენ ალექსანდრას.

• • •

დიდი სამამულო ომი დამთავრდა... ვენა!

ერთ მდიდრულ სახლში ბრგე ტანის სერჟანტი, რომელსაც კეხიანი ცხვირი აქვს, გაკვირვებით ათვალიერებს კედელზე სურათს. მერე მზერა მოხუც ქალზე გადააქვს, რომელსაც ფერდაკარგული ტუჩები აქვს და ძალიან თავაზიანია.

— წავიდეთ, სერჟანტო, საბუთები გავსინჯეთ, იარაღი არა აქვთ, რას უყურებ მაგ კედელს?

— ნაცნობი მთაა, უშბა!

— მართალია, — უცბად გამოცოცხლდა მოხუცი ქალი. — ესაა ჩემი უშბა.

— თქვენი გვარი?

— ფონ-ფიკერი.

— ჩემი კი — დადეშქელიანი.

სერჟანტი მხარზე იკიდებს ავტომატს და მიდის. მოხუცი ქალი მარტო რჩება უშბასთან, რომელიც დიდი ხანია მისი აღარაა.

უშბის მბრძანებლის — ალექსანდრას ნათელი გზა კი სულ ზევით და ზევით მიემართება.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 207, 208, 209, 210.

რედაქტორი ი. უგულავა.

„ერების თასი“ ბრაზილიაში

როგორც რიო-დე-ჟანეიროში ოფიციალურად გამოცხადდა ე. წ. „ერების თასის“ გათამაშება, რომელიც ეძღვნება ბრაზილიური ფეხბურთის 50 წლისთავს, გაიმართება მომავალი წლის მაისში. მასში მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიის, არგენტინის, საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და იტალიის გუნდები.

თამაშები ჩატარდება რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს სტადიონებზე.

ფეხბურთი

24-25 ოქტომბერი

„ბურევესტნიკის“ სტადიონი



„იმედის თასის“ გათამაშების ფინალური შეხვედრები

24 ოქტომბერს — უზბეკეთი (ნაკრები)-საქართველო (ნაკრები)

25 ოქტომბერს — მოლდავეთი (ნაკრები)-ლიტვა (ნაკრები)

თამაშების დასაწყისი 16 საათზე

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 06084